ლევან ახვლედიანი
ისტორიის საგნობრივი კონსულტანტი
სსიპ „მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი“

მასტერკლასი ისტორიაში

მასწავლებელის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა უპირველეს ყოვლისა გულისხმობს სკოლის ბაზაზე პროფესიული განვითარების ხელშეწყობასა და წახალისებას.
ამ მიზნით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კოლეგების ურთიერთთანამშრომლობას და გამოცდილების გაზიარებას. მასტერკლასის ფარგლებში წარმოდგენილი იქნება ორი ტიპის სამოდელო გაკვეთილი, რომლებიც გამჭოლი კომპეტენციების განვითარებაზეა ორიენტირებული. მასტერკლასის ფარგლებში განხილული იქნება აქტივობები, რომლებიც ორ კომპეტენციას ავითარებს:

- ✓ წიგნიერებას
- ✓ სწავლის სწავლას

ეს იქნება სამოდელო გაკვეთილის იმიტირება, რომლის შემდეგაც მონაწილეები გააანალიზებენ მას ორი პოზიციიდან - მოსწავლეების და მასწავლებლების. პედაგოგებს მიეცემათ რეკომენდაციები სამოდელო გაკვეთილების ჩატარებასთან დაკავშირებით.
მასტერკლასში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ როგორც საბაზო, ასევე საშუალო საფეხურის ისტორიის მასწავლებლებს.